ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5304964

ნომერი: AR1806199

თარიღი : 25.02.2021

გაცემის თარიღი : 25.02.2021

გაცნობის თარიღი : 28.02.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეონიძე (ყოფ. კიროვი), N 2/გ.ტაბიძე N1 , (ნაკვეთი N74/13);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: თიბისი ბანკი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204854595
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თორნიკ ეგოგიჩაიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 0101000519

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კარლო მშვიდობაძე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 25 თებერვლის AR1806199 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ლეონიძის (ყოფ. კიროვი) ქ. N2/ტაბიძის ქ. N1-ში (ნაკვეთი N74/13) არსებულ შენობაზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ლეონიძის (ყოფ. კიროვი) ქ. N2/ტაბიძის ქ. N1-ში (ნაკვეთი N74/13) არსებულ შენობა-ნაგებობას არ აქვს მინიჭებული კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, შესაბამისად, თქვენ მიერ არასწორად მოხდა განცხადების დარეგისტრირება. საჭიროა განცხადება და საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთული იქნეს I კლასის ნომენკლატურით.

ყოველივე ზემოაღნშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.